კურსის მიზანი

იაპონური ენის სწავლება დამწყებთათვის საერთაშორისო სარეკომენდაციო ჩარჩოს N5 დონემდე, რაც შეესაბამება საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს A1 დონეს.

კურსი ორიენტირებულია იაპონური ენის საბაზისო ცოდნის ფორმირებასა და ოთხი ძირითადი ენობრივი უნარ-ჩვევის განვითარებაზე: მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი და წერა, რაც გულისხმობს ელემენტარული წერა-კითხვისა და სამეტყველო უნარ-ჩვევების განმტკიცებას, მარტივი ტექსტებისა და იეროგლიფების (კანჯი) წაკითხვასა და გააზრებას, ასევე საკუთარი აზრის წერილობით და ზეპირად გადმოცემისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

<u>მოსმენილი ტექსტის გაგება</u>
- ყოველდღიურ სასაუბრო ენაში გამოყენებული მარტივი ფრაზებისა და შეკითხვების გაგება-გააზრება;
- მარტივი დიალოგებისა და ზეპირი ინფორმაციის აღქმა.

<u>წაკითხული ტექსტის გაგება</u>
- მარტივი სიტყვებითა და საბაზისო იეროგლიფებით შედგენილი ტექსტების, წარწერებისა და ა.შ. წაკითხვა-გააზრება.

<u>მეტყველება, დიალოგში მონაწილეობა და თემატური საუბარი</u>
- საკუთარ თავზე, ინტერესებსა და სურვილებზე საუბარი;
- სხვა პირების ნელი საუბრისას მარტივი ფრაზებით აგებული დიალოგის გააზრება;
- ზეპირი ინტერაქცია შესაფერის სიტუაციაში;
- მარტივი დიალოგის წარმართვა – შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა.

<u>წერა</u>
- მარტივი სიტყვებისა და იეროგლიფების გამოყენებით მოკლე ტექსტის შედგენა.

<u>ზოგადი კომპეტენციები</u>:
კურსი ასევე ითვალისწინებს სტუდენტების ზოგადი კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის: ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარის გამომუშავებას, აკადემიურ გარემოში ეფექტიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას, სასწავლო ჯგუფში თანამშრომლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარებას.
ენის სწავლების პარალელურად სტუდენტები გაეცნობიან იაპონიის კულტურას, ყოველდღიურობასა და ტრადიციებს, რაც ხელს შეუწყობს ენისა და კულტურული კონტექსტის ერთიანად გააზრებას.

ძირითადი სახელმძღვანელოები:

1. みんなの日本語初級I第2版, スリーエーネットワーク, Tokyo, 2020

2. Basic Kanji book, vol.1, Chieko Kano, Yuri Shimizu, Hiroko Takenaka, Eriko Ishii, Bonjinsha co., LTD, Tokyo 2020
3. みんなの日本語初級I第2版, 会話 DVD. Tokyo, 2016
4. 日本語N5 文法・読解まるごとマスター- , Tokyo, 2017